დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 19
აგვისტოს №377 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 6 აპრილის №ძ 50 ბრძანებით, 2021 წლის 17 მაისის №ძ 84 ბრძანებითა და 2025 წლის 19 მარტის №ძ 58 ბრძანებით

შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

2020 წელი

სარჩევი:

მუხლი 1. დოკუმენტის მიზნები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, განსაზღვროს შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მიმართულია უნივერსიტეტის მმართველობით, საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში კომპიუტერული და საინფორმაციო რესურსების ეფექტიან და უსაფრთხო გამოყენებაზე, უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის (შემდეგში - მომხმარებელი) უფლება-მოვალეობების განსაზღვრასა და ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე.

მუხლი 2. პოლიტიკის მიზანი

უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს უნივერსიტეტის მმართველობით, საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში, კომპიუტერული და საინფორმაციო რესურსების გამოყენების საკითხში ზოგად მიდგომებს და წესებს, რომლის საფუძველზეც ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურების ფორმირება, მათ შორის, სისტემების უსაფრთხო გამოყენების მიზნით.

მუხლი 3. პოლიტიკის გავრცელების არე

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა სავალდებულოა გამოსაყენებლად უნივერსიტეტის მმართველობით, საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში ჩართული ყველა პირისათვის, რომელსაც გააჩნია ლეგიტიმური წვდომა უნივერსიტეტის კომპიუტერულ, ქსელურ და საინფორმაციო რესურსებთან. ასევე, სათანადო წესით მოწვეული ყველა პირისათვის, რომელიც საკუთარ კომპიუტერს და სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო საშუალებებს იყენებს უნივერსიტეტის რესურსებზე წვდომისათვის.

მუხლი 4. ზოგადი პრინციპები

ა) ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა ეყრდნობა საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მოქმედ სტანდარტებსა და პრინციპებს.

ბ) საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრსა და ჯგუფს, გააჩნია შესაძლებლობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ჰქონდეს წვდომა უნივერსიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებთან.

გ) უნივერსიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების ან რესურსების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ავტორიზებული მომხმარებლისათვის, რისთვისაც იგი ვალდებულია გამოიყენოს თავისი პერსონალური ანგარიში, დადგენილი წესითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. პერსონალური ანგარიშების

ადმინისტრირებასა და გამოყენებაზე მონიტორინგს ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური.

დ) უნივერსიტეტის მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკა მომხმარებელს დროებით სარგებლობაში გადაეცემა სამუშაო ან/და საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (შემდგომში - ხელშეკრულება). მომხმარებელი ვალდებულია გამოიყენოს უნივერსიტეტის არსებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკა ან/და პროგრამული უზრუნველყოფა მხოლოდ კანონიერი მიზნებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივ აქტებს.

ე) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს როგორც მისი სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის, ასევე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შემუშავებული და მის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებში განთავსებული პროგრამული უზრუნველყოფის, მონაცემთა ბაზების და სხვა ელექტრონული ფორმატით წარმოდგენილი ნამუშევრების (ლიტერატურული, მუსიკალური თუ მხატვრული ნაწარმოებების, ფოტოსურათების, კინოფილმების, ვიდეოჩანაწერების და სხვა) საავტორო უფლებებისა, ასევე, ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას და შესაბამისი პროცედურებით უზრუნველყოფს საავტორო უფლებების დარღვევების პრევენციას.

მუხლი 5. ინფორმაციული უსაფრთხოება

ა) უნივერსიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემები იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ უზრუნველყოს თითოეული მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დაცვა, უსაფრთხოება და მთლიანობა, რათა არაავტორიზებულ ან სხვა მომხმარებელს არ შეეძლოს მესაკუთრის თანხმობის გარეშე დაათვალიეროს ელექტრონული ფაილები და მონაცემთა ბაზები, ასევე, შექმნას ასლი, შეცვალოს ან წაშალოს ინფორმაცია.

ბ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ადმინისტრატორის (ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი) გარდა ყველა მომხმარებელს, უნივერსიტეტის რექტორის ნებართვის გარეშე, ეკრძალება საინფორმაციო რესურსის მონიტორინგი, ასევე სისტემური პარამეტრების ცვლილება. ანალოგიური მიდგომაა საუნივერსიტეტო მართვის, სწავლებისა და სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან, პროგრამებთან და აპლიკაციებთან წვდომის თვალსაზრისითაც.

გ) უნივერსიტეტმა სათანადო პროცედურებით უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებლებმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თანხმობის გარეშე, მესამე პირებს არ გადასცენ უნივერსიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსებზე დაცული ინფორმაცია, თავისი ან/და სხვისი მომხმარებლის ანგარიშის პარამეტრები და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, აგრეთვე მონაცემები, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას და არის კონფიდენციალური, კომერციული საიდუმლოება ან/და დაცულია საავტორო უფლებით.

დ) უნივერსიტეტი, ჩვეულებრივ, არ ახდენს მომხმარებლების მიერ კომპიუტერულ ქსელში გადაცემული მასალის შემოწმებას, ან/და რაიმე ფორმით შეზღუდვას. განსაკუთრებულ შემთხვევებში (სისტემური პრობლემების აღმოსაფხვრელად, ვირუსებისა და სხვა საზიანო პროგრამების მონიტორინგისა და აღმოფხვრის მიზნითა და კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში), უნივერისტეტი იტოვებს უფლებას ღიად მოახდინოს მომხმარებლის საინფორმაციო რესურსების გამოყენებისა და სამუშაო სესიების მონიტორინგი, რომლის შესახებ ეცნობებათ მათ.

ე) უნივერსიტეტი, კომპიუტერული რესურსების გამოყენების წესების დარღვევის შემთხვევაში, იტოვებს უფლებას შეუზღუდოს დამრღვევ მომხმარებელს უნივერსიტეტის საინფორმაციო რესურსებთან წვდომის უფლება. განსაკუთრებით მძიმე დარღვევის შემთხვევაში, მომხმარებლის პირადი კომპიუტერი, შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, დაუყონებლივ გაითიშება უნივერსიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებიდან.

მუხლი 6. მონაცემთა დაცვა

ა) სავალდებულოა კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების დაცულობის უზრუნველყოფა ფიზიკური, ტექნიკური, პროცედურული და გარემოს უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმებით.

ბ) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მმართველობითი, საგანმანათლებლო, სამეცნიერო სახის ინფორმაციისა და მონაცემების ცენტრალიზებულ შენახვას, დაცვას, არქივირებასა და სარეზერვო ასლების შექმნას/შენახვას. უნივერსიტეტი პასუხს არ აგებს მომხმარებლების პირად კომპიუტერებში ან ნებისმიერი სხვა უნივერსიტეტის სისტემის გარეთ ან/და სათანადო წესების დაუცველად შენახული ფაილების ან მონაცემების დაცვაზე, თუმცა უზრუნველყოფს მომხმარებლების ინფორმირებას რისკების შესახებ და მისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მათ მხარდაჭერას.

გ) უნივერსიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემები, როგორც პერსონალური კომპიუტერები, ასევე საკომუნიკაციო სისტემები უნდა იყოს დაცული ვირუსული და სხვა კიბერ-თავდასხმებისაგან.

დ) უნივერსიტეტი სათანადო პროცედურების გატარებით უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოებას, სარეზერვო ასლების შენახვასა და მონაცემთა აღდგენას. აგრეთვე ელექტროენერგიის გათიშვის, არაავტორიზებული წვდომის და სხვა ფორსმაჟორულ სიტუაციების შემთხვევაში - მონაცემების აღდგენასა და მთლიანობას.

მუხლი 7. ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტები

ა) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების იდენტიფიცირებას, რაც ასევე გულისხმობს თითოეული ინციდენტის შესწავლას, აღწერას,

რისკების, მათ შორის, ინციდენტების პრევენციასა და მათი მატერიალიზების შემთხვევაში - ადეკვატურ რეაგირებას.

ბ) ინციდენტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, სათანადო პროცედურების საშუალებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პრობლემის შესახებ ინფორმაციის სწრაფი გადაცემა ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურისათვის და იმ პირებისთვის, ვისი უფლებებიც დიდი ალბათობით შესაძლებელია დაირღვეს. ასევე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი აღმოფხვრა და სათანადო ფორმით დოკუმენტირება/აღწერა.

მუხლი 8. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები

ა) უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსებისა და ელ-ფოსტის გამოყენების მიზნით არსებობს მომხმარებელთა ჩვეულებრივი და განსაკუთრებული უფლებების მქონე ანგარიშები.

ბ) განსაკუთრებული უფლებების მქონე (ადმინისტრატორი) მომხმარებელს განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელი, ხოლო უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა დანარჩენ წევრს აქვს ჩვეულებრივი სამომხმარებლო ანგარიში.

გ) ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის მიერ მოწოდებულ ახალ თანამშრომელთა სიის თანახმად, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური ყოველი თანამშრომლისათვის ქმნის კომპიუტერულ და ელ-ფოსტის ანგარიშებს.

დ) ყოველი ახალი სტუდენტისათვის, მისი რეგისტრაციისთანავე იქმნება ელ-ფოსტისა და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ანგარიშები.

ე) სტუდენტის სტატუსის ცვლილება გავლენას არ ახდენს ელ-ფოსტის ანგარიშზე. უნივერსიტეტის დამთავრების ან სტატუსის შეწყვეტა/შეჩერების შემდეგ განისაზღვრება მისი ანგარიშით უნივერსიტეტის კომპიუტერულ რესურსებზე წვდომის შეზღუდული უფლებები.

მუხლი 9. პაროლის შექმნა და გამოყენება

ა) პაროლი ინფორმაციული და ქსელური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მომხმარებლის სახელი და პაროლი ემსახურება მომხმარებლის ნამდვილობის შემოწმებას.

ბ) პაროლი წარმოადგენს ტექსტურ სიდიდეს. ყოველი მომხმარებელი ანგარიშის შექმნისთანავე ღებულობს ადმინისტრატორისგან ერთჯერად პაროლს და ვალდებულია შეცვალოს იგი პირველივე გამოყენების დროს.

გ) პაროლის შექმნისთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ პაროლი:

1. უნდა შეიცავდეს ლათინური ანბანის დიდ და პატარა სიმბოლოებს (მაგ.: a-z, A-Z);

2. სიგრძე (სიმბოლოთა რაოდენობა) უნდა იყოს არანაკლებ 8 ალფავიტურ-ციფრული სიმბოლო;
3. არ უნდა იყოს არცერთი ბუნებრივი ენის რაიმე სიტყვა (პიროვნების გვარი და სახელი, შინაური ცხოველების, ქალაქებისა და სხვა სახელები, კომპიუტერული ტერმინები, ბრძანებები, დაწესებულებების სახელები და სხვა; დაბადების თარიღები, მისამართები, ტელეფონის ნომრები და სხვა; შემდეგი სახის სიტყვები: aaabbb, qwerty, zyxwvuts, password, 123321, secret1, 1secret და სხვა);

დ) პაროლის დაცვისთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული**,** რომ მომხმარებელმა**:**

1. არ უნდა გამოიყენოს ერთი და იგივე პაროლი უნივერსიტეტის ანგარიშებისა და სხვა ანგარიშებისათვის (მაგ., პირადი ელ-ფოსტის ანგარიში);
2. არ უნდა გაუზიაროს უნივერსიტეტის ანგარიშების პაროლები სხვას, მათ შორის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, თანაშემწეს, თანამშრომლებსა ან კოლეგებს (მაგ., შვებულებაში ყოფნის დროსაც კი), ოჯახის წევრებს. ყველა პაროლი არის პირადი ინფორმაცია;
3. არ დაწეროს ან შ-ეინახოს პაროლი ელექტრული ფორმით;
4. არ გააგზავნოს პაროლი ელფოსტით ან ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო საშუალებით (მაგ., ტელეფონით).

ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომელმა შეიძლება მოითხოვოს მომხმარებლის პაროლი წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრისას.

ვ) თუ მომხმარებელს გაუჩნდა ეჭვი, რომ მისი პაროლი გამჟღავნებული იქნა, ამის შესახებ დაუყონებლივ უნდა შეატყობინოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს.

მუხლი 10. მომხმარებლის ანგარიშის წვდომის უფლება და შეზღუდვა

ა) მომხმარებლის უფლება წარმოადგენს კომპიუტერულ რესურსებთან წვდომის წესების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს მონაცემებზე ჩასატარებელ მოქმედებებს: წაკითხვა, ჩაწერა, შესრულება, ცვლილება, ადმინისტრირება.

ბ) მომხმარებელს მხოლოდ იმ კონკრეტულ რესურსებთან წვდომის უფლება ენიჭება, რომლებიც საჭიროა მისი უშუალო სამსახურეობრივი/აკადემიური მოვალეობების შესასრულებლად. უფლებები განისაზღვრება (იცვლება ან/და უქმდება) მისი უშუალო ხელმძღვანელის მიერ. მომხმარებლებს ეკრძალებათ საერთო მოხმარების რესურსების გარდა ავტორიზაციის გარეშე სხვა რესურსის გამოყენება.

გ) თუ მომხმარებელი უნივერსიტეტში შეიცვლის თანამდებობას ან/და მოხდება ცვლილება მის სამუშაო აღწერილობაში, სავალდებულოა მომხმარებლის წვდომის უფლებების გადახედვა.

დ) დაუშვებელია მომხმარებელმა თავისი პერსონალური ანგარიშები და პაროლები გაუზიაროს სხვებს. მომხმარებელი პასუხისმგებელია თავისი ანგარიშით ჩატარებულ მოქმედებებზე. უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებული კომპიუტერის საშუალებით

განხორციელებული ნებისმიერი არასანქცირებულ ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მომხმარებლებს.

მუხლი 11. უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტა

ა) ელექტრონული ფოსტა არის მომხმარებლებისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი შიდა და გარე კომუნიკაციის საშუალება. ელექტრონული ფოსტა, რომელიც ფუნქციონირებს @cue.edu.ge დომენით, წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებით. წერილის შინაარსის წაკითხვისაგან თავის არიდება, არმიღება ან წაშლა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ელფოსტის ანგარიშის მფლობელს.

ბ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების ელექტრონული ფოსტის ინდივიდუალური ანგარიშიდან განხორციელებული მიმოწერა წარმოადგენს მათ პირად ინფორმაციას და არ ექვემდებარება შინაარსობრივ მონიტორინგს, კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა.

გ) ელექტრონული ფოსტის სისტემის მუშაობასთან დაკავშირებული ნებისმიერი კითხვით მომხმარებლებმა უნდა მიმართოს თავის უშუალო ხელმძღვანელს ან/და უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს.

დ) უნივერსიტეტში გამოიყენება შემდეგი ტიპის ელექტრონულ ფოსტის ანგარიში:

1. უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების ინდივიდუალური ანგარიში. ანგარიში ფორმირდება სახელისა და გვარის კომბინაციით, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული კომბინაცია დაკავებულია, ემატება რიგითი ნომერი (დარეგისტრირების თანმიმდევრობის მიხედვით); ხოლო სტუდენტებისათვის ანგარიში ფორმირდება ბაზის 4 ნიშნა ID-ის საშუალებით, დამთხვევის შემთხვევაში ემატება “GE” ასოები;

2. ცალკეული სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტი, დეპარტამენტი და ა. შ.), კვლევით, სამეცნიერო, კულტურულ და სოციალური პროექტების და სხვა სპეციალური საფოსტო ანგარიშები ფორმირდება შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით და მათი მიმართვის საფუძველზე.

ელექტრონული ფოსტის ანგარიშის ფუნქციონირების შეჩერება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

1. უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების დასრულება ან/და შეჩერება;
-
2. ცალკეული სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია;
3. უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის არამიზნობრივი გამოყენება;
4. ამ პოლიტიკითა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ინფორმაციის გავრცელებისას;

5. მესამე პირის მიერ ანგარიშზე წვდომის გამოვლენისას.

ე) უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის ანგარიშის ფუნქციონირების დროებითი შეჩერების შემთხვევაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური ვალდებულია შეატყობინოს ამ ფაქტის შესახებ, როგორც ანგარიშის მფლობელს, ასევე მის უშუალო ხელმძღვანელს. შეზღუდვა იხსნება მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ და ამის შესახებ ეცნობება, როგორც ანგარიშის მფლობელს, ასევე მის უშუალო ხელმძღვანელს.

მუხლი 12. კონფიდენციალურობის დაცვა

ა) უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელი ეკუთვნის უნივერსიტეტს და იყენებს მას აკადემიური, კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობისათვის.

ბ) საკუთარი კომპიუტერული რესურსებისა და მისი მომხმარებლის ანგარიშების უსაფრთხოების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს დაცვის სხვადასხვა ზომას.

გ) უნივერსიტეტმა შეიძლება მონიტორინგი გაუწიოს უნივერსიტეტის ქსელის ან კომპიუტერული რესურსების ინდივიდუალურ მომხმარებელთა საქმიანობასა და ანგარიშებს, მათ შორის ინდივიდუალური სესიისა და კომუნიკაციის შინაარს წინასწარი გაფრთხილების გარეშე, როცა:

1. მომხმარებელი ნებაყოფლობით ხდის ხელმისაწვდომს ყველასათვის იმ ინფორმაციას, რასაც ათავსებს ინტერნეტ-რესურსით, ვებ-გვერდითა ან ბლოგების მეშვეობით;
2. ჩანს, რომ მომხმარებლის ანგარიში უჩვეულოდ აქტიურია, რაც არაა საჭირო დაშვებული უფლებებით.

დ) კომუნიკაციის ნებისმიერი ასეთი მონიტორინგი, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც მოთხოვნილია ან მომხმარებლის მიერ, ან კანონით, ან საჭიროა გამოვლენილ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება, წინასწარ უნდა იყოს დაშვებული უნივერსიტეტის რექტორის მიერ. ყოველი ასეთი მოქმედების შემდგომ აუცილებლად ეცნობება და განემარტება მომხმარებელს თუ რა სახის ღონისძიებები გატარდა.

მუხლი 13. საავტორო უფლებები

ა) უნივერსიტეტი იზიარებს საქართველოს კანონის მოთხოვნებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. უნივერსიტეტის კომპიუტერულ ქსელში არსებული პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზები ეკუთვნის ან ლიცენზირებულია უნივერსიტეტის ან მესამე მხარის მიერ და დაცულია საავტორო უფლებებით.

ბ) მომხმარებელს ეკრძალება:

1. უნივერსიტეტის ქსელში გამოყენების მიზნით პროგრამების ასლის შექმნა ან უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ მისი გავრცელება;

2. საავტორო უფლებებით დაცული ნამუშევრების არასანქცირებული ჩამოტვირთვა და საუნივერსიტეტო კომპიუტერულ ქსელში ან/და სხვა საინფორმაციო რესურსების საშუალებით გამოყენება;
3. უნივერსიტეტის მონაცემთა ან/და პროგრამების გაყიდვა;
4. პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება არასასწავლო მიზნებისა ან/და ფინანსური მოგებისათვის;
5. პროგრამების (მაგ.: პროგრამული კოდის) ან მონაცემების მათი ავტორების / მფლობელების ნებართვის გარეშე საჯაროდ გამჟღავნება.

გ) უნივერსიტეტის ქსელთან დაკავშირებისას ყველა მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას ნამუშევრების საავტორო უფლებები, რომლებიც ჩვეულებრივ განთავსებულია მომწოდებლის ვებ - გვერდზე. მომხმარებელი რომ არ დაეთანხმოს კონკრეტულ საავტორო უფლებებს, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ საავტორო უფლებები არ ვრცელდება ამ ნამუშევარზე.

მუხლი 14. მონაცემთა დაცვა

ა) უნივერსიტეტის ყველა მონაცემი და ინფორმაციული სისტემა, დაცული უნდა იქნეს შესაბამისად კონფიდენციალურობის, ღირებულებისა და აუცილებლობის დონის გათვალისწინებით.

ბ) უნივერსიტეტის საინფორმაციო რესურსებთან წვდომა განისაზღვრება მომხმარებლის უფლებებით.

გ) მომხმარებელმა უნდა დაიცვას არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ სხვა მომხმარებლებისა და მესამე პირების მიერ დაწესებული შეზღუდვები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას.

მუხლი 15. ვირუსებისა და საზიანო პროგრამებისგან დაცვა

ა) ვირუსები და საზიანო პროგრამები, რომლებიც შექმნილია ელექტრონული ინფორმაციის დაზიანების, მოპარვის, მოდიფიცირებისა და სხვა საზიანო ქმედებისათვის, საფრთხეს უქმნის უნივერსიტეტის ინფორმაციულ უსაფრთხოებას.

ბ) უნივერსიტეტის ყველა კომპიუტერზე და ნოუთბუქზე, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის კომპიუტერულ ქსელთან, უნდა დაინსტალირდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ რეკომენდირებული შესაბამისი პარამეტრების მქონე ვირუსებისა და საზიანო პროგრამებისაგან დაცვის პროგრამული უზრუნველყოფა.

გ) დაუშვებელია, ვირუსებისა და საზიანო პროგრამებისაგან დაცვის პროგრამული უზრუნველყოფის დამოუკიდებლად გათიშვა. მისი პარამეტრები არ უნდა შეიცვალოს, ასევე არ უნდა შემცირდეს მონაცემთა ბაზის ავტომატური განახლების სიხშირე, რათა არ შემცირდეს დაცვის ეფექტურობა.

დ) ავტომატურად გამოვლენილი და განადგურებული ყველა ვირუსის შესახებ ინფორმაცია, როგორც ინფორმაციული საფრთხის შემთხვევა, უნდა ეცნობოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს.

მუხლი 16. ელექტრონულ მონაცემთა განკარგვა

ა) უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დანიშნულებაა კონფიდენციალური მონაცემების დაცვა და პროგრამული უზრუნველყოფის სალიცენზიო შეთანხმებების შესრულების უზრუნველყოფა, ამიტომ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ელექტრონულ მონაცემთა განკარგვა კომპიუტერული რესურსების გადაადგილების დროს.

ბ) უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ყველა კომპიუტერი და ციფრული შენახვის მოწყობილობა უნდა იქნეს შესაბამისად დამუშავებული, სანამ მოხდება მათი საკუთრების ფორმის შეცვლა (როგორიცაა, მაგრამ არ შემოიფარგლება: გაყიდვა, გაჩუქება, ჩამოწერა და ა.შ.). კომპიუტერებისა და ციფრული საცავების მოწყობილობების დამუშავების დროს უნდა წაიშალოს მოწყობილობებზე უნივერსიტეტთან დაკავშირებული ყველა მონაცემები და ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა ან ფიზიკურად განადგურდეს თვით მოწყობილობა.

გ) ყველა კომპიუტერი და ციფრული შენახვის მოწყობილობა რომელსაც უნდა შეეცვალოს საკუთრების ფორმა, დასამუშავებლად უნდა მიეწოდოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს;

დ) თუ მყარი დისკი დაზიანებულია ან უმოქმედობით აღარ შეიძლება მისი გამოყენება, საჭიროა მისი დაშლა და ფიზიკური განადგურება.

ე) ჩამოწერისთვის მზა ყველა კომპიუტერი და შენახვის მოწყობილობა ინახება უსაფრთხო ადგილას;

ვ) თუ მესამე მხარე იყენებს უნივერსიტეტის კომპიუტერულ მოწყობილობებს, მათ უნდა დაიცვან უნივერსიტეტის ელექტრონული მონაცემთა განკარგვის პოლიტიკა.

მუხლი 17. კომპიუტერული ქსელის მონიტორინგი

ა) უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას შეამოწმოს და განიხილოს მისი კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ყველა მხარე, მათ შორის ინდივიდუალური სესიებისა და ანგარიშის ფაილები. ამ შემოწმების მიზანია გამოავლინოს კომპიუტერული ქსელის პრობლემები, ვირუსები და სხვა საზიანო პროგრამები, დაადგინოს, არღვევს თუ არა მომხმარებელი უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას ან მოქმედ კანონმდებლობას.

ბ) უნივერსიტეტის ქსელში ჩართული ყველა კომპიუტერული და საკომუნიკაციო საშუალება ექვემდებარება ამ პოლიტიკას, იმის და მიუხედავად, არის თუ არა ეს მოწყობილობა უნივერსიტეტის საკუთრება.

გ) უნივერსიტეტის ქსელის, ინტერნეტ კავშირისა ან უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსების მონიტორინგი შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლებმა.

დ) უნივერსიტეტის ქსელისა და ინტერნეტის შემოწმების უფლებამოსილმა პერსონალმა არ უნდა გაამჟღავნოს ქსელის მონიტორინგის პროცესში მიღებული კონფიდენციალური და პერსონალური ინფორმაცია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე.

მუხლი 18. ინტერნეტი და უსადენო კავშირი

ა) უსადენო ქსელით დაფარულია დაწესებულების შენობა. შენობაში შემოყვანილია ოპტიკური ინტერნეტი. იგი ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტის, აკადემიური და ადმინისტრციული პერსონალისთვის.

ბ) ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტს გააჩნია სარეზერვო ინტერნეტი პარალელურ რეჟიმში მუშაობს ძირითად ინტერნეტთან ერთად და ძირითადი ინტერნეტის დაზიანების ან გათიშვის შემთხვევაში უნივერსიტეტი შეუფერხებლად განაგრძობს ინტერნეტით სარგებლობას.

გ) უნივერსიტეტის უსადენო ქსელების მართვა, მონიტორინგი და ექსპლუატაცია ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ.

დ) მომხმარებელთა უსადენო ქსელში დაშვება შეიძლება იყოს თავისუფალი ან შეზღუდული, შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სტრუქტურული ერთეულის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დაცვის მიზნით.

ე) მიუხედავად იმისა, რომ უსადენო ქსელი არის შეზღუდული თუ თავისუფალი დაშვების, მასთან წვდომა უნდა ხდებოდეს WPA2/PSK ტექნოლოგიით და AES შიფრაციით შესაბამისი პაროლის გამოყენებით, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული აღნიშნულ ქსელში გადაცემული ინფორმაცია არასანქცირებული წვდომისგან;

ვ) უსადენო ქსელთან დასაკავშირებელ პაროლებს ადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური.

ზ) თავისუფალი დაშვების უსადენო ქსელის პაროლი შეიძლება გაენდოს ნებისმიერ მსურველს, დაიწეროს საინფორმაციო დაფაზე ან განთავსდეს ნებისმიერ თვალსაჩინო ადგილზე.

თ) შეზღუდული წვდომის უსადენო ქსელის პაროლი გაენდობა მხოლოდ იმ მომხმარებლებს, რომელთაც სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე სჭირდებათ აღნიშნულ ქსელთან

წვდომა და ისინი ვალდებული არიან ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის თანხმობის გარეშე სხვას არ გაანდონ პაროლი.